დაბრუნდა უკან და სოფელს ლ—ში გამოიარა. აქ, საიდანაც იყო, გაჩნდა წყეული სული, ეშმაკი, შეუძვრა ტვინში, აურ-დაურია აზრები, შეარყია მთელი ტვინი და გამოუხატა თავში. მძინარ კაცს ღამეში საბანი რომ გადაეხდება და შესცივა, ამ დროს სიზმარში მისი გონება სადაც წყალში იღუპება და სცურავს. ყოველივე ღონისძიებას ხმარობს საწყალი კაცი ამისთანა მდგომარეობაში, რომ არ დაიღუპოს. ასე მოუვიდა თურმე ამ გამომძიებელსაც. ამ გამომძიებელმა დაინახა თურმე ხალხი ეკკლესიაზე, სადაც მღვდელი იყო. ხალხი შეკრებილი იყო ეკკლესიის სტაროსტას ასარჩევლად. წაუსვა ხელი ამ გამომძიებელმა და სუყველა დაიჭირა. მღვდელს ანაფორა გახადა, ღირსებაც ჩამოართვა, მისი აზრით; შამოასხა ხალხი გარშემო ამ დატუსაღებულებს, მისცა ბრძანება ყარაულებს, მაშინვე თოფი ესროლე, თუ ვინმემ გაქცევა გაბედოსო. თვითონაც ხმალ-ამოღებული უტრიალებდა გარშემო, ვითომ ნაპლეჩოს ეუბნებოდა და ჩამორეკა მომრიგებელ სასამართლოში. როდესაც გზაში მოყავდა ეს დატუსაღებულები, შორს დაინახა თურმე მწყესები, რომელნიც დაშორებით თამაშობდნენ და რაღაცას ბუკიეით ახახებდნენ. ამ დროს თურმე მრთელი უეზდის მცხოვრები წარმოუდგა აბუნტებულად. გზაში შენს მღვდელს კარგი მათრახები გადუჭირა ზურგში და ამ მღვდელმაც მოთმინებისაგან გამოსულმა კარგი მუშტები მიაყოლა. მადლობა ღმერთს, რომ სხვა კაცებმა გააკავეს, თორემ ხმალით გასჩეხა რაღმე ეს შენი მღვდელი. მოვიდა თუ არა მომრიგებელ სასამართლოში, დაიყვირა დიდის ხმით: бунтъ выходите всѣ! მომრიგებელმა მოსამართლემ გამოიხედა. ამან ამოღებული ხმალი თავზე ტარით დაიდგა და განუცხადა ყოველივე. მომრიგებელმა მოსამართლემ თვითონვე ის გაგზავნა ღუბერნიის უფროსთან ამის განსაცხადებლად და ჯარების მოსაყვანათ. ღუბერნიის უფროსს გამოეცხადა. იმან უთხრა თურმე, ეს ჩემი საქმე კი არა დოქტორის საქმე არის, იმას განუცხადეო! წავიდა დოქტორთან და განუცხადა ასე და ასეო. დოქტორმა უთხრა თურმე: კარგი, მე იმათ დავსჯი ყველასო და თქვენ ღოსპიტალში მოიცადეო. ამ კაცს წამალი მისცა და ის ბოროტი სული ეშმაკი გამოძვრა თურმე ტვინიდამ და გაიქცა! დატუსაღებულები გაუშვეს, მღვდელს ანაფორა დაუბრუნეს და ამის მოქმედს რომ კითხეს, ძლიერ გაუკვირდა თურმე და არ დაიჯერა. მადლობა ღმერთს, ჯარი არ მოუყვანიათ, თორემ დიდი უბედურება იქნებოდა! ეს გამომძიებელი დაითხოვეს.

აი კიდევ მეორე სასაცილო და სამწუხარო ამბავი. ოთხ ძმა კაცს თურმე ცოლები უხდებოდათ ხშირათ ავად. საქმელს სულ აღარ სჭამდნენ თურმე, დილდილას თითო სტაქან ძმარს მიირთმევდნენ, იქნება. ამას ჩვენში ხშირად ხმარობენ, რომ ყოველიფერი სნეულება გააქრონ. ვერა გაიგეს რა ამ კაცებმა ამ სნეულების. წავიდნენ ერთ დროს გამოჩენილ მკითხავთან. მკითხავმა უთხრა თურმე, თქვენი დედა კუდიანი იყო და სანამდის იმას არ ამოიღებთ საფლავიდამ და ლუკმა-ლუკმა არ დასჭრით, არ მოიშლის ღამით თქვენ სახლში სიარულსაო. ამასთან კუდი უნდა მოჭრათ და ცეცხლში დასწვათო. დაიჯერეს საწყლებმა, რას იზამდნენ აბა?! მოთხარეს საფლავი, მაგრამ ძვლების მეტი ველარა ნახეს რა და კუდის მაგიერათ რაღაცა თმები ნახეს თურმე კუდის ადგილას! ჩვენში ხომ არა დაემალებათ! ეს ამბავი, როგორც ამბობენ, ეპისკოპოსს მოახსენეს, იმან პროკურორს და შედგა ერთი უშველებელი გამოძიება. ეს კაცები გულ გრილად და დაწყნარებით ამბობენ: მართალია მოვთხარეთო, მაგრამ რადგანაც კუდი მოლპობოდა და ძვლების მეტი აღარა იყო რა, ისევ დავმარხეთო! მოთხრაზე ჩვენი მოძღვარიც თან დაევისწრითო! იმასაც ეგონა, კუდს უნახავდითო, მაგრამ ველარ უნახეთო! ძლიერ მიკვირს, რომ აქ კუდიანებს მარტო ქალებში პოულობენ და კაცებში კი არა. აი რა იცის შკოლების გამრავლებამ!

შ—ლი.

## როტუნდა ქ. გორში.

ჩინ-ყარ-ონ და განში ქ. გორში შესრულდა ყოველის შემკულებით, რაც კი მოეთხოვება ქალაქს. თითქმის ჩინ-ყარ-ონ-და განში მტვენით გაუარა მას პირველად ცეცხლის ეტლმა; ჩინ-ყარ-ონ და განში ასტყდა ფაეტონების რახარუხი, ვითარცა წერილ არს „კავკაზის" ფელტონში, და ისე გაგვემახვილა სმენა, რომ სრულებით აღარ გვესმის აღარც სიტყვის ხრიალი, აღარც მამლის ყივილი. ჩვენ თვალს ხომ სურათები გაუმშვენიერა: მეთევზე სალა ფეხშიშველა, ნახევარ თუნგიანი გვერდით, ფეხი ფეხზედ შემოდებული, ხავერდგადაკრულ ფაეტონში — რა სურათია! ცხრა თუ ათი ბიჭბუჭები პაპიროზებით პირში, საშინლად მოყვირალნი, ერთი ერთმანეთის თავში და პირში მცემელნი ფაეტონში—რა სურათია! მეწაღის შვილი გადაბლეშკნილი, ოროლანი გვერდით ფაეტონში და ფაეტონის უკან ამისი დედა მიმდევი ქოქოლის ყრით —რა სურათია. დიახ, ვითარცა წერილ არს „კავკაზში", ქ. გორი ძალიან წარმატებაშია— ქუჩები განიერი აქვს. ბოლოს, როგორც გვირგვინი ყველა წარმატებებისა, როგორათაც უსხოსი მარგალიტი ყოველ საქმეებთა შუა, აღმოსცენდა ჩინ-ყარ-ონ-განს, ახალს გაშენებულს ბაღს შუა, დიდი მდინარის პირს, ხალხის წინ-წამწევი, ზნეობის გამაუმჯობესებელი, გამაპატიოსნებელი და გამანათლებელი როტუნდა ქ. გორში (აბა ახლა დაგვიდგნენ ვიღაცა ევროპიელები არიან წინ, აი!). არ არის აქამდის გამოკვლეული ნამდვილათ, თუ ვის ეკუთვნის ეს უპალლესი ჰაზრი? ამბობენ, ვითომც წინა პირველად მოსლოდეს ეს თავში დიდ ქალაქის დეპუტატს (ამ ქალაქს ორი დეპუტატი ჰყავს, დიდი და პატარა). სწორეთ კი არვინ არა იცის რა; აწმყო და მომავალი გამომკვლევნი ვალდებულ არიან გამოიკვლიონ ეს პარასკევობით და სამშაბათობით როტუნდის სახე ეცვლება; დიდების მაგიერათ ჩამოულიათ პაწაწინა ქალები და ტანციობას ასწავლიან. ეს განკარგულება მოუხდენია დიდ დეპუტატ. როგორც ხედამთ ჩვენს როტუნდას პედაღოგიური დანიშნულებაცა აქვს, რომელიც, როგორც გაგვიგონია ჩვენი გაკოტრებულოვისგან, მოსიარულესაგან ლეიბციგში, პარიჟში და ლონდონში, არცერთს ევროპიის როტუნდას არა აქვს. ერთი რომელიმე ევროპიელი ენა რომ ვიცოდე, უთუოდ გადავცემ, რომ იმათ ვაჩვენო, თუ ვინა ჩვენ, გორელები! არა, რას გვეყელზეითებიან რაღაც ევროპიელები არიან? „თქვენაზიელები ხართო, გაუნათლებლებიო." მერე რა არის რომ აზიელები ვართ? რაა, როტუნდა არა გვაქვს? ტანციობა არ ვიცით? აბა ჩვენს როტუნდაში მობძანდნენ და ტანციობაში გვნახონ თუ ვინა ვართ! მაშინ გვეტყვიან: ჰო ნამდვილი განათლებულნი თხქვენა ხართო! ამ კვირა საღამოს მიველი ჩემს მოხუცე-

---

ეგდოს. დაბადებაშიდაც, კარგათ რომ სცოდნოდათ ებრაული მის გადმომთარგმნელებს, მოძებნიდენ, რომ ღმერთს ევის გაჩენასთანვე ტაფა და შამფური დაუყოლებია და ხელში მიუცია ქალისთვის, შენი საქმე აი ეს უნდა იყოსო. არ შეიძლება ეს რომ არ ეწეროს სადმე, აზრში მოსასვლელი რომ არაა ამისი გამოტოვება! მაშ მიბრძანეთ, თუ ეს ასეა, რას ფხაკურობენ ეს ქალბატონები, შინ რატომ არ რჩებიან? და თუ არ რჩებიან, კარგი უქნია ოსმალეთის დივანს, ბრძნული გადაწყვეტილება რომ მიუღია.—„ვერ მიეართვით, ვერ მიეართვით თქო," ეფიქრობდით ჩემს გულში და აღტაცებით დავხტოდი, სანამ რუსულ გაზეთებს თვალი არ გადავავლე და ამ საგანზე მათი აზრი არ შევიტყვე...

÷

ამისთანა მძიმე და სახელმწიფო საქმეებში კი არა, წვრილმან რამეებშიაც ჩემისთანა პაწაწინა ფელტონისტი რუსულ გაზეთების შეხედულობას უნდა ემორჩილებოდეს. და ჩემმა მკითხველმა კარგათ იცის, რომ ამ მხრით ჩემისთანა ყურმოჭრილი დამჯერი რუსულ გაზეთებს არავინა ჰყავს. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როცა მე ამ საგანზე „მოსკოვის უწყებების" აზრი წავიკითხე! შენ მტერს დაბნევია ისე გზა და კვალი, ამ გაზეთის სტატიამ მე საქმე მიყო!

მიხაილ ნიკიფორიჩ (ივანე ნიკიფორიჩის ძმის) კატკოვის გაზეთი რისხვით და ძაგებით ებრძვის ოსმალეთის მმართებლობას, ქალების ე მ ა ნ ს ი პ ა ც ი ა ს (!) რათ აბრკოლებთ და ქალებს ძველებურ, ადამისწლის ხეპრულ დამოკიდებულებაში რათ სტოვებთო. ქალს სწავლა და განათლება სჭირიაო, ამბობს კატკოვის გაზეთი, ქალი ვეღარ იტანს იმ გაჭირვებულს და შეურაცხმყოფელ მდგომარეობას, რომელშიაც ის ძველ ცხოვრებას ჩაუყენებიაო. ეხლანდელი ცივილიზაცია, ეხლანდელი ცხოვრება ქალს სულ სხვა უკეთესს ადგილს აძლევს, და რა უფლებით ეწინააღმდეგებით თქვენ ქალის სურვილს და ცდას ამ უკეთესი და შესაფერი ადგილის დასაკავებლათო?—დიდი ლიბერალია კატკოვი... ოსმალეთი საქმეებში. იქაურ მინისტრებს პირდაპირ ეუბნება ჭეშმარიტებას და სიმართლეს, როდი ეპუება იმათ ეს მამაცი მწერალი. აი იმ დღეს ამტკიცებდა, ოსმალეთმა ფედერაცია უნდა გაიწყოსო. ხვალ იმასაც დაამტკიცებს—ოსმალეთში რესპუბლიკა უნდა დაარსდესო. ერთი სიტყვით, დიდი ლიბერალია ეს დალოცვილი, რაღა. მაგრამ ამას როგორ ვიფიქრებდი, რომ ის, დიდი კატკოვი, რუსეთის კონსერვატორების დედა-ბოძი, რუსეთის ერთობის მთავარ-მფარველი და მოღალატენის მთავარ-მძიებელი, როდესმე დაბეჭდდა, რომ აუცილებლათ საჭიროა ქალების სრული, დიახ, სრული, სრული, სრული ემანსიპაციაო!

÷

დაილოცა, ღმერთო, შენი საკვირველმოქმედება! ბუშინ არ იყო, ესვე გაზეთი ტაშის კვრით ამტკიცებდა ღვლეჭი უნდა მოეჭიროს რუსეთელი ქალების სურვილს და ხალისსაო? ბუშინ არ იყო, კიევის უნივერსიტეტის შესახებ რომ სწერდა, ქალების და ვაჟების ერთ ზალაში სწავლა პროფესსორის ზედამხედველობის ქვეშ გარყვნილება და ზნეობის დაცემააო, და ამავე ქალების და ვაჟების საღამოს სხვა ზალაში შეყრა, მოხვევნა, მღელვარე გულის გულზე დაკვრა და მთელი ოთხი საათის განმავალობაში ისე ტრიალი, ცეკვა, ხტუნვა, ბალის დროს,—ზნეობის დაცვა არისო? ვის დაუჯეროს კაცმა, რა იფიქროს, როგორ განსაჯოს, როცა ერთი და იგივე გაზეთი, ერთი და იგივე კაცი, „გონიერებაში კალმის ჩამყოფი," ხან ამბობს—ქალებს სამზარეულო და ქვეშაგებული მინიჭებიათ მხვედრათო, და ხან ამტკიცებს—მათი სრული გათავისუფლება და განათლება აუცილებლათ საჭირო არისო?

÷

შენ ვერ წარმოიდგენ, მკითხველო, რამოდნათ მაწუხებს მე ეს კითხვა. რომ არ ვიცი, რა ვიფიქრო და დავსწერო, ვაქოეხლა თუ ვაძაგო ოსმალეთის დივნის გადაწყვეტილება, კარგია ის თუ ავი, დაცულია თუ არა ზნეობა, საჭიროა თუ არა მისი დაცვა? რა ქნას კაცმა ამ მდგომარეობაში? ოჰ, ოსმალეთის დივანო, რა გაჭირვებაში ჩამაგდე მე შენ! რა იყო, ვითომ, ძლიერ გჭიროდა ეს ჩემი შეწუხება, ვერ გასძლებდი შენ უიმისოთ, ვერ მიიღებდი იმისთანა გადაწყვეტილებას, რომ ზნეობაც დაცული იყო და კატკოვიც კმაყოფილი დარჩენილიყოს!

მაგრამ ისიც კია მხედველობაში მისაღები, რომ დივანს იქნება არ გახსენებია ამ საგანზე კატკოვი რას დასწერდა და მისი სიტყვები „დროების" ფელეტონს რა გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენებდა. ეს, მგონია, აზრთანაც ახლო უნდა იყოს, თუმც ეს გარემოება ჩემს თავმოყვარეობას ძლიერ აშფოთებს. მაგრამ, დივანს რომ ჩემთვის ეკითხა, კაი მოგცა ღმერთმა, კარგ რჩევას მე იმას მივცემდი. ვეტყოდი ბ. ღოლობერიძე გამოიწერეთ და ის შეგიდგენს (გადმოგიწერს) ქალების ზნეობის დაცვაზე რომელიმე რუსეთელ უსტარს მეთქი,...

÷

გაზეთებში დიდს იმედს იწერებიან, რომ ერთი შემძლე მგზავრი, დაბრუნდება თუ არა თავის სახელმწიფოში, მაშინვე სასტიკ განკარგულებას იზამსო,—დღეის იქით ქალებს დღისით უნდა ეძინოთ, დილის ცხრა საათიდამ საღამოს ათ საათამდინო. რადგანაც ამ საგანზე „მოსკოვის უწყებებს" ჯერ თავისი აზრი არ გამოუცხადებია, მე შემიძლია გარდაწყვეტით ვთქვა, რომ ეს მშვენიერი და გონიერი აზრია, და თუ რითიმე შეიძლება „ზნეობითი წესიერების" და სხვა სიკეთების „დ ა ც ვ ა"—სწორეთ და მხოლოთ ეს საშუალებაა გამოსადეგი ამ მაღალღირსოვანი მიზნისთვის. მე ყოველთვის იმ აზრის ვიყავი, რომ ეს შემძლე მოგზაური და ლოგიკა ერთმანეთს ძლიერ ემოყვრებიან, და ლოგიკით, ხომ, ზნეობის დაცვის სურვილი პირდაპირ ამ გადაწყვეტილების წყარო...

მაგრამ, ვაი თუ კატკოვმა არც ეს მოიწონოს? მაშინ, მკითხველო, გთხოვ ჩემი აზრი უკულმა გადმოთარგმნო და წაიკითხო—„ეს გადაწყვეტილებაც ცუდია, რადგანაც ცივილიზაცია... ემანსიპაცია... განათლება.. უფლება"..... და სხვ. (ნახე ზემოთ). კარგმა კატკოვმა ყველა მხრიდამ უნდა იცოდეს ყურის გამობმა, თუგინდ ამ ყურის მოწევა და მოგლეჯაც შეეძლოს ვისმე ხანდისხან.

ნ. სკანდელი.

